დანართი 2

<u>აკადემიური წერის მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის მსვლელობა და მონაწილე კანდიდატთა შეფასების კრიტერიუმები</u>

1. შერჩევა წარიმართოს ორ ეტაპად:

ეტაპი 1 - შეფასდება წარმოდგენილი დოკუმენტაცია - [ქულები: 8-16].

ეტაპი 2 - გასაუბრება და გაკვეთილის სიმულაცია - [ქულები: 28 - 56]

2.ორივე ეტაპში წარმატებულმა კანდიდატმა უნდა დააგროვოს ყველაზე მცირე 36 ქულა. საუკეთესო შედეგი იქნება - 72 ქულა.

<u>3.ეტაპი 1</u> - შეფასდება წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ რეზიუმე (CV), ორი სარეკომენდაციო წერილი და სამოტივაციო წერილი - [ქულები: 8-16].

1. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი CV-ის შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტებია:

კრიტერიუმი	**კომპონენტები**	**შეფასება**	
		დიახ (1)	**არა (0)**
პროფესიული ცოდნა და გამოცდილება	1. აკადემიური წერის სწავლების გამოცდილება უმაღლესი განათლების სექტორში **(სავალდებულო)**		
	2. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი **(სავალდებულო)**		
	3. აკადემიური წერის უნარის განვითარების გადამზადების კურსი **(სასურველი)**		
	4. მასწავლებლის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი(ები) **(სასურველი)**		
დამატებითი უნარები	1. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა **(სავალდებულო)**		
	2. ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული ფრანგული) ცოდნა **(სასურველი)**		
	სულ	3 - 6	

4.კანდიდატის მიერ წარმოდგენილი რეზიუმეს (CV) კომპონენტების შეფასება განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) აკადემიური წერის სწავლების გამოცდილება - აკადემიური წერის სწავლების გამოცდილების შესახებ ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს რეზიუმეში (CV). უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, ვისაც აკადემიური წერის სწავლების სულ მცირე ერთწლიანი გამოცდილება აქვს მიღებული უმაღლესი განათლების სექტორში. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში კანდიდატი შეფასდება 1 ქულით, ხოლო არ დაკმაყოფილების შემხვევაში - 0 ქულით.

ბ) აკადემიური ხარისხი - კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ან განათლების სფეროში.

მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში კანდიდატი შეფასდება 1 ქულით, ხოლო არ დაკმაყოფილების შემხვევაში - 0 ქულით.

გ) აკადემიური წერის გადამზადების კურსი - სასურველია კანდიდატს გავლილი ჰქონდეს აკადემიური წერის ან მისი სწავლების გადამზადების სულ მცირე ერთი კურსი. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში კანდიდატი შეფასდება 1 ქულით, ხოლო არ დაკმაყოფილების შემხვევაში - 0 ქულით.

დ) მასწავლებლის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი - კანდიდატს სასურველია გავლილი ჰქონდეს მასწავლებლის კვალიფიკაციის ასამაღლებელი სულ მცირე ერთი კურსი. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში კანდიდატი შეფასდება 1 ქულით, ხოლო არ დაკმაყოფილების შემხვევაში - 0 ქულით.

ე) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Word, Excel, PowerPoint) ეფექტურად გამოყენების უნარი - კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ამ უნარის მისაღებად გავლილი ტრენინგის დამადასტურებელი საბუთი ან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გარკვევით ჩანდეს თუ როგორ ფლობს კანდიდატი ამ უნარს. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში კანდიდატი შეფასდება 1 ქულით, ხოლო არ დაკმაყოფილების შემხვევაში - 0 ქულით.

ვ) ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის B2 დონის კომპეტენცია - კანდიდატი სასურველია ფლობდეს ერთ-ერთ აღნიშნულ უცხო ენას. ამას ადასტურებს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთი (სერტიფიკატი), რომელიც აჩვენებს უცხო ენის ცოდნის დონეს საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში კანდიდატი შეფასდება 1 ქულით, ხოლო არ დაკმაყოფილების შემთხვევაში - 0 ქულით.

5. რეზიუმესთან (CV) ერთად კანდიდატის მიერ წარმოდგენილი თითო **სარეკომენდაციო წერილი** შეფასდება 1 ქულით. ერთი წერილი სასურველია აფასებდეს კანდიდატის აკადემიური წერის გამოცდილებასა და უნარს (1 ქულა), ხოლო მეორე - კანდიდატის პედაგოგიურ უნარს (1 ქულა). შეფასების ამ კომპონენტში კანდიდატი აგროვებს ყველაზე მაღალ - 2 ქულას ან დაბალ - 1 ქულას. არადამაკმაყოფილებელი ინფორმაციის შემცველი წერილების შემთხვევაში, კანდიდატი არ იღებს ქულას.

6. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი **სამოტივაციო წერილი** 1 გვერდზე მეტი არ უნდა იყოს, გამოყენებულია ფონტი Sylfaen, ხოლო შრიფტის ზომა არის 11-12 ერთეული. დოკუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის **სავალდებულო** ინფორმაციას:

1. რატომ მსურს აკადემიური წერის სწავლება?
2. როგორ ვასწავლი აკადემიურ წერას?
3. რას ნიშნავს ჩემთვის აკადემიური წერის ინტერაქციული სწავლება?
4. როგორ ვგეგმავ სწავლების პროცესს?
5. რა მეთოდებს ვიყენებ აკადემიურ წერის სწავლების დროს და რატომ?

7.სამოტივაციო წერილის შეფასება განისაზღვრება შემდეგნაირად:

კრიტერიუმი	**2**	**1**	**0**
შინაარსი	სამოტივაციო წერილი სრულად პასუხობს დასმულ კითხვებს	სამოტივაციო წერილი პასუხობს კითხვების ნაწილს (პირველი სამი) ან პასუხობს ყველა კითხვას, მაგრამ მოცემული ინფორმაცია არ არის სრულყოფილი.	სამოტივაციო წერილი ნაწილობრივ პასუხობს კითხვებს, არ პასუხობს კითხვებს ან მოცემული ინფორმაცია არ არის სრულყოფილი
სტილი	სამოტივაციო წერილის სტილი სრულად არის დაცული	სამოტივაციო წერილის სტილი ნაწილობრივ არის დაცული	სამოტივაციო წერილის სტილი არ არის დაცული
ენა	მრავალფეროვანი, სწორი სტრუქტურები	ნაწილობრივ მრავალფეროვანი, უმეტესად სწორი სტრუქტურები	ერთფეროვანი, არასწორი სტრუქტურები
ბმულობა /კოჰერენტულობა	ტექსტი ერთ მთლიანობას წარმოადგენს, აზრები ლოგიკურად ებმიან ერთმანეთს, გამოყენებულია მრავალფეროვანი მაკავშირებელი საშუალებები	ტექსტი ერთ მთლიანობას წარმოადგენს, აზრები ზოგჯერ ლოგიკურად არ ებმიან ერთმანეთს, გამოყენებულია ერთფეროვანი მაკავშირებელი საშუალებები	ტექსტი ერთ მთლიანობას არ წარმოადგენს, აზრები ლოგიკურად არ ებმიან ერთმანეთს, გამოყენებულია საბაზისო მაკავშირებელი საშუალებები

- **სამოტივაციო წერილი** უნდა იძლეოდეს ვაკანსიასთან კანდიდატის შესაბამისობის, მისი კვალიფიკაციის, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მოკლე დასაბუთებას. ასევე უნდა ასახავდეს იმ ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია მის შინაარსთან დაკავშირებით. დოკუმენტში გარკვევით უნდა ჩანდეს კანდიდატის მოტივაცია. წერილში შეიძლება ასევე ასახული იყოს რეზიუმეში (CV) მოცემული დაზუსტებული ინფორმაცია.

8. პირველი ეტაპის შედეგად შერჩეული კანდიდატები მონაწილეობას მიიღებენ კონკურსის მეორე ეტაპში.

9. **<u>ეტაპი 2</u> - გასაუბრება და გაკვეთილის სიმულაცია - [ქულა 28 - 56]**

გასაუბრების კრიტერიუმები და შეფასება: 4 - ძალიან კარგი, 3 - კარგი, 2 - დამაკმაყოფილებელი, 1 - არადამაკმაყოფილებელი, 0 - ცუდი.

გასაუბრების კრიტერიუმები	**4**	**3**	**2**	**1**	**0**
1. **სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა**					

სავარაუდო კითხვები: • *რისთვის არის საჭირო სწავლების მეთოდების ცოდნა?* • *შეადარეთ სწავლების თანამედროვე მეთოდები ადრე არსებულ მეთოდებს?* • *იცვლება თუ არა პედაგოგის პროფესია?* • *საჭიროა თუ არა ცვლილება სწავლების მეთოდებში?* • *საჭიროა თუ არა თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება აკადემიური უნარების სწავლების პროცესში?* **კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსის გავლის შემთხვევაში:** *როგორი სახის კურსი იყო, რამდენად პრაქტიკული, როგორ გამოიყენეთ კურსის შედეგად მიღებული ინფორმაცია და უნარები?*					
2. **ინტერაქციული სწავლების უნარი** ***სავარაუდო კითხვები:*** • *ისაუბრეთ სტუდენტის როლის შესახებ ლექციის დროს?* • *ისაუბრეთ მასწავლებლის როლის შესახებ ლექციის დროს?* • *როგორ შეიძლება სტუდენტი სალექციო პროცესში ჩავაბათ?* • *რამდენს საუბრობთ ლექციაზე/გაკვეთილზე?* • *თქვენს ლექციაზე/გაკვეთილზე სტუდენტი დაახლოებით რამდენს და როდის საუბრობს?* • *რა ფორმით/საშუალებით შეიძლება სტუდენტის აქტიური ჩაბმა ლექციის პროცესში?* • *საჭიროა თუ არა დაფა?* **კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსის გავლის შემთხვევაში:** *როგორი სახის კურსი იყო, რამდენად პრაქტიკული, როგორ გამოიყენეთ კურსის შედეგად მიღებული ინფორმაცია და უნარები?*					
3. **აკადემიური წერის სწავლების გამოცდილება** ***სავარაუდო კითხვები:*** • *როგორ განუმარტავთ სტუდენტს აკადმიური წერის ცნებას, მის მნიშვნელობას, გამოყენების შესაძლებლობებს?* • *შეუძლია თუ არა ნებისმიერ ადამიანს აკადემიურად წერა?* • *აკადემიური წერის სწავლება უნდა იყოს თეორიული თუ პრაქტიკული?* • *აკადემიური წერის სწავლება უმჯობესია წერის პროცესში, თუ მოდელების დასწავლის საშუალებით. რატომ?* • *როგორ უნდა განავითაროს სტუდენტმა აკადემიური წერის უნარი?* • *საჭიროა თუ არა ლექციის პროცესში აკადემიური წერის ცალკეულ ასპექტებზე სავარჯიშოების კეთება?* • *როგორ უნდა შეამოწმოთ სტუდენტის მიერ გაკეთებული სავარჯიშო?* • *შეცდომის შემთხვევაში, როგორ გაასწორებთ?*					

კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსის გავლის შემთხვევაში: *როგორი სახის კურსი იყო, რამდენად პრაქტიკული, როგორ გამოიყენეთ კურსის შედეგად მიღებული ინფორმაცია და უნარები?*					
4. აკადემიური წერის და/ან პრეზენტაციის გამოცდილება *სავარაუდო კითხვები:* • *თქვენ თვითონ როგორ ისწავლეთ აკადემიური წერა?* • *რა სახის აკადემიური ნაშრომი დაგიწერიათ? რის შესახებ?* • *რა იყო ყველაზე რთული/ადვილი ნაშრომის წერის პროცესში?* • *რა უფრო რთულია, აკადემიურად წერა თუ აკადემიურად საუბარი?* • *კონფერენციაზე მოხსენებით თუ გამოსულხართ?* • *რა განაპირობებს კარგ, ეფექტურ პრეზენტაციას?* • *PP პრეზენტაცია გირჩევნიათ გააკეთოთ, თუ ტრადიციული (ტექნოლოგიის გარეშე)?* • *რისთვის არის საჭირო სლაიდები?*					
5. გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი *სავარაუდო კითხვები:* • *გაიხსენეთ შემთხვევა, როდესაც მომზადებული სალექციო მასალა გარკვეული მიზეზის გამო არ მუშაობს. რას მოიმოქმედებთ?* • *გაიხსენეთ ერთი შემთხვევა, როდესაც ლექციის დროს უცებ მოგიწიათ კრიტიკული გადაწყვეტილების მიღება. მოგვიყევით ამის შესახებ.* • *პირველი ლექცია გაქვთ და უცებ გაითიშა დენი (არ ირთვება ეკრანი ან პროექტორი) და ლექციისთვის მომზადებული სლაიდები გახდა უსარგებლო. რას მოიმოქმედებთ?* • *სტუდენტი უხეშად იქცევა, აწუხებს სხვა სტუდენტებს და თქვენც გიშლით ხელს მუშაობაში. როგორ მოიქცევით?* • *სტუდენტი მთელი ლექციის მანძილზე ხელს არ გიშლით და თქვენ და სხვა სტუდენტებს არაფრით აწუხებს, მაგრამ საგაკვეთილო პროცესში არ არის ჩაბმული. როგორ მოიქცევით?* • *სტუდენტები არ გისმენენ ან ტელეფონს თვალს არ აცილებენ. რას გააკეთებთ?* • *თუ ჯგუფიდან (30 სტუდენტი) მოსულია მხოლოდ 1 ან 2 სტუდენტი, ლექტორი როგორ უნდა მოიქცეს?*					
6. გუნდში მოშაობის უნარი *სავარაუდო კითხვები:* • *გაიხსენეთ გუნდში მუშაობის თქვენი გამოცდილება.* • *საჭიროა თუ არა პედაგოგისთვის გუნდში მუშაობა? რატომ?* • *მიგაჩნიათ თუ არა სწორი მასწავლებლებს შორის (ჯგუფისთვის მომზადებული სავარჯიშო) მასალის გაზიარება?*					

• *გიყვართ თქვენი აზრების გამოთქმა, თუ გირჩევნიათ სხვას მოუსმინოთ?* • *შეიძლება თუ არა ერთი ლექცია ჩაატაროს ორმა ლექტორმა?*					
7. რეფლექსიის უნარი (თვითრეფლექსიის და ანალიზის უნარი) ***სავარაუდო კითხვები:*** • *გაიხსენეთ თქვენს მიერ ჩატარებული ლექცია/გაკვეთილი, როდესაც ყველაფერი თქვენი გეგმის საპირისპიროდ წარიმართა.* • *ფიქრობთ თუ არა უკვე ჩატარებულ ლექციაზე/გაკვეთილზე? ეს რაში გჭირდებათ?* • *გაინტერესებთ თუ არა სტუდენტების აზრი თქვენს მიერ ჩატარებულ ლექციაზე/გაკვეთილზე? რატომ?*					
8. სალექციო/გაკვეთილის გეგმა ***სავარაუდო კითხვები:*** • *წერთ სალექციო/საგაკვეთილო გეგმას? რატომ?* • *როგორი სახის არის თქვენი გეგმები?* • *როდის იწყებთ მომზადებას შემდეგი ლექციისთვის/ გაკვეთილისთვის?* • *საჭიროა თუ არა სილაბუსი? რისთვის არის საჭირო?* • *რა შემთხვევაში გადაუხვევთ სილაბუსს და რამდენად?* • *საჭიროა თუ არა, რომ სტუდენტები იცნობდნენ სილაბუსს?*					

10. **საჩვენებელი გაკვეთილის სიმულაცია (0-10):** კანდიდატი <u>**თავად არჩევს თემას და ატარებს მინი-გაკვეთილს (15 წუთი)**</u>. სიმულაციის შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები განისაზღვრება შემდეგნაირად: 4 - ძალიან კარგი, 3 - კარგი, 2 - დამაკმაყოფილებელი, 1 - არადამაკმაყოფილებელი, 0 - ცუდი.

კრიტერიუმი	**შეფასება**				
	4	**3**	**2**	**1**	**0**
1. სიმულაციის ეფექტურობა					
2. შერჩეული მასალის ეფექტურობა					
3. გაკვეთილის მართვა					
4. მასალის გადმოცემა					
5. ინტერაქცია					
6. ტექნოლოგიის გამოყენება					